სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის

ბრძანება №151
2017 წლის 21 სექტემბერი

ქ. თბილისი

„საავიაციო უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით შემოწმების, მათ შორის გაფრენისწინა შემოწმების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს 2017 წლის 3 ივლისის №109 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნტის შესაბამისად,
ვბრძანებ:

მუხლი 1

„საავიაციო უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით შემოწმების, მათ შორის გაფრენისწინა შემოწმების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს 2017 წლის 3 ივლისის №109 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი, 04/07/2017, 310150000.54.066.016121) დამტკიცებულ „საავიაციო უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით შემოწმების, მათ შორის გაფრენისწინა შემოწმების წესში“ შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-9 მუხლის მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. აეროპორტებში, რომელთა წლიური მგზავრთნაკადი აღემატება 100 000 გზავრს, ხელბარგის 5 % ექვემდებარება შერჩევით შემოწმებას ფეთქებადი ნივთიერების კვალის აღმომჩენი მოწყობილობით.“.

2. მე-13 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. შემოწმების პროცესმა არ უნდა გაზარდოს გამფრენი მგზავრების მომსახურების ხანგრძლივობა და არ უნდა იმოქმედოს შესრულებული ფრენების რეგულარობაზე, რის უზრუნველსაყოფადაც საავიაციო უშიშროების სამსახური პერიოდულად აცნობებს ავიაგადამზიდველის წარმომადგენელს და/ან საჰაერო ხომალდის მეთაურს შემოწმების მიმდინარეობაზე. შემოწმების მიზნით/მიზეზით საჰაერო ხომალდის გაფრენის დაყოვნება თანხმდება ავიაგადამზიდველის წარმომადგენელთან და საჰაერო ხომალდის მეთაურთან. შეუთანხმებლობის შემთხვევაში, საჰაერო ხომალდის მეთაურის გადაწყვეტილების შესაბამისად, ფრენა სრულდება და ფრენის შესრულების მოქმედი ნორმების მოთხოვნების დაცვით გადაიყვანება/გადაიზიდება მხოლოდ შემოწმებაგავლილი მგზავრი, ბარგი, ტვირთი/ფოსტა, ბორტკვება და თანმდევი საშუალებები, საბორტო მარაგი, ავიაგადამზიდველის ფოსტა, ავიაგადამზიდველის მასალა.“.

3. დანართი №3, დანართი №11 და დანართი №13 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის
სააგენტოს დირექტორი **გურამ ჯალაღონია**